თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6462396

ნომერი: AR1965785

თარიღი : 11.05.2023

გაცემის თარიღი : 16.05.2023

გაცნობის თარიღი : 16.05.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი გურამიშვილი , N 64 , (ნაკვეთი N005/056) ; ქალაქი თბილისი , გამზირი გურამიშვილი , N 64 , (ნაკვეთი N5/51) ; ქალაქი თბილისი , გამზირი გურამიშვილი , N 64 , (ნაკვეთი N5/50);

დამკვეთი-განმცხადებელი

- დიანა რეხვიაშვილი პ/ნ 35001003154
- რუსთავი VII მ/რ კორ. 26 ბ. 46

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 8 მაისის №6451272 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023

წლის 11 მაისს №AR1965785 განცხადებით მომართა დიანა რეხვიაშვილი-ჯეჯეიამ და მოითხოვა სამსახურის 2023 წლის 8 მაისის №6451272 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 14 მარტის №6366418 ბრძანებით, №01.12.01.005.626 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა საწყობის (მშრალი მასალების) არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2023 წლის 29 მარტის №6391900 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 29 მარტიდან 2024 წლის 29 მარტის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
სამსახურის 2023 წლის 13 აპრილის №6416713 და 2023 წლის 8 მაისის №6451272 ბრძანებებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2023 წლის 29 მარტის №6391900 ბრძანებაში მშენებლობის ვადასთან დაკავშირებით და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 8 მაისიდან 2025 წლის 8 მაისის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2023 წლის 8 მაისის №6451272 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილი არასწორად არის ჩამოყალიბებული, მათ შორის, არასწორად არის დაფიქსირებული მშენებლობის ვადა, კერძოდ „2023 წლის 8 მაისიდან 2025 წლის 8 მაისის ჩათვლით“ ნაცვლად დაფიქსირდა „2023 წლის 8 მაისიდან 2023 წლის 8 ნოემბრის ჩათვლით“.
სამსახურის მიერ დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ შპს "თბილაბრეშუმის“ წარმომადგენლის დიანა რეხვიაშვილი-ჯეჯეიას მიერ 2023 წლის 25 აპრილს, №AR1962828 განცხადებით მოთხოვნილ იქნა სამსახურის 2023 წლის 29 მარტის №6391900 ბრძანებაში ცვლილების შეტანა მშენებლობის ვადასთან დაკავშირებით, რისთვისაც წარმოდგენილ იქნა შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაცია, მათ შორის მშენებლობის განხორციელების კალენდარული გრაფიკი 24 თვეზე. სამსახურის 2023 წლის 8 მაისის №6451272 ბრძანებით მოთხოვნა დაკმაყოფილდა, თუმცა ტექნიკური შეცდომის შედეგად ბრძანების სარეზოლუციო ნაწილი არასწორად ჩამოყალიბდა, მათ შორის არასწორად დაფიქსირდა მშენებლობის ვადა.
ამასთან, სამსახურის მიერ დადგენილ იქნა, რომ 2023 წლის 8 მაისის №6451272 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილში არ იქნა დაფიქსირებული მშენებლობის ეტაპები და ამასთან, ბრძანებაში არასწორად ჩამოყალიბდა ნორმატიული აქტები, რომლითაც იხელმძღვანელა სამსახურმა 2023 წლის 8 მაისის №6451272 ბრძანების გამოცემის დროს, კერძოდ “მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების ნაცვლად დაფიქსირდა “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება. ამასთან, არ იქნა მითითებული საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილება „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 8 მაისის №6451272 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებასთან დაკავშირებით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 8 მაისის №6451272 ბრძანებაში და
1.1. ნორმატიული აქტების ჩამონათვალში “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების ნაცვლად დაფიქსირდეს “მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილება და ასევე, ნორმატიული აქტების ჩამონათვალს დაემატოს საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილება „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“.
1.2. ბრძანების სარეზოლუციო ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1. დაკმაყოფილდეს დიანა რეხვიაშვილი-ჯეჯეიას 2023 წლის 25 აპრილის №AR1962828 განცხადება.
2. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 29 მარტის №6391900 ბრძანებაში და ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე–3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

3. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2023 წლის 8 მაისიდან 2025 წლის 8 მაისის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
4. მშენებლობის დარჩენილი ეტაპები განისაზღვროს შემდეგნაირად:
1. მოსამზადებელი სამუშაოები, რომელიც მოიცავს სამშენებლო მოედნის შემოღობვას დროებითი ღობით, უსაფრთხოების ზომების დასახვა და შესაბამისი ნიშნების დაყენება, მოედნის მოშანდაკება და სამშენებლო ნაგვის გატანა ნაგავსაყრელზე.
2. შენობა-ნაგებობების ინსტრუმენტალური დაკვალვა, ძირითადი ღერძების და რეპერების დაფიქსირება.
3. მიწის სამუშაოები, საწყობის შენობის საძირკვლებისათვის ქვაბულის მოწყობა.
4. საძირკვლების მოწყობა, საწყობის შენობის რკინა-ბეტონის წერტილოვანი და ლენტური საძირკვლების მოწყობა.
5. საწყობის შენობის რკინა-ბეტონის კედლების მოწყობა +1.00 მ ნიშნულამდე.
6. საწყობის შენობის ლითონის კარკასის (სვეტები, კოჭები, გრძივები, კავშირები) მოწყობა.
7. საწყობის შენობის სახურავის კედლების შეფუთვა და სახურავის დაფარვა - სენდვიჩპანელების მოწყობა.
8. საწყობის შენობის რკინა-ბეტონის იატაკის მოწყობა, სარემონტო სამუშაოები.
9. საინჟინრო კომუნიკაციების (წყალი, კანალიზაცია, ელექტრომომარაგება) მონტაჟი.
10. ტერიტორიის მოწესრიგება, ობიექტის ჩაბარება ექსპლუატაციაში.
გაითვალისწინეთ: მშენებლობის ნებართვის მფლობელი (დამკვეთი) ვალდებულია “მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად შეადგინოს მშენებლობის (ზედამხედველობის) ეტაპის დასრულების ოქმი და სამშენებლო/სანებართვო პირობებით დადგენილი მორიგი ეტაპის დასრულებამდე წერილობითი სახით წარადგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში. აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობა წარმოადგენს სანებართვო პირობების დარღვევას და იწვევს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას - დაჯარიმებას.
5. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 29 მარტის №6391900 და 2023 წლის 13 აპრილის №6416713 ბრძანებებთან ერთად.“.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 8 მაისის №6451272 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის 2023 წლის 29 მარტის №6391900, 2023 წლის 13 აპრილის №6416713 და 2023 წლის 8 მაისის №6451272 ბრძანებებთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.